საქართ. მშრომელთა სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 120,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე უკანასკნელზე კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

№ 303 ოთხშაბათი სექტემბრის 27 1922 წ.

ტფილ. ფასი 5000 მან. პროვინც. 6000 მან.

## ახლო აღმოსავლეთის კვანძი

ჩვენი რესპუბლიკების არსებობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ახლო აღმოსავლეთის ამბებს. იქ შექმნილი პირობები და მოვლენათა ვითარება დაკავშირებით მოითხოვს ჩვენი ინტერესების საზომით განხილვასა და გარკვეულ ყურადღებით შესწავლას.

გუშინ გამოქვეყნდა იმ შეთანხმების შინაარსი, რომელსაც ხელი მოაწერეს მოკავშირეების წარმომადგენლებმა პარიზში 23 სექტემბერს ახლო აღმოსავლეთის საქმეების შესახებ, და რომელიც გადაეცა ოსმალეთის ეროვნულ ყრილობის მთავრობას წინადადების სახით. მოკავშირეთა პარიზში შეთანხმება შემდეგში გამოიხატება: ისინი თანახმა არიან ოსმალეთთან კონფერენციის საკითხი მშვიდობიანობის გზით გადაჭრან, ამიტომ იწვევენ მას სამშვიდობო კონფერენციაზე. მოკავშირენი თანხმდებიან გადასცენ ხელმეორედ ოსმალეთს თრაკია მარიცამდე და ადრიანოპოლი იმ პირობით, რომ მოხდეს დემილიტარიზაცია რამოდენიმე ზონისა მშვიდობიანობის შესანარჩუნებლად, გარეთეს განსაზღვრულ ნაწილში თავისუფლება ერთა ლიგის ხელმძღვანელობით დაცული, მარმარილოს ზღვისა და ბოსფორის. მოკავშირენი თანხმდებიან მიიღონ ოსმალეთი ერთა ლიგაში და რამდენადაც ახალი ხელშეკრულება შევა ძალაში, მოკავშირეთა ჯარები გაყვანილი იქნება კონსტანტინოპოლიდან. აგრეთვე ნაუენიდან მიღებული ცნობით, კერზონი დათანხმდა საფრანგეთის მოთხოვნას, რომ კონსტანტინოპოლი გადასცემოდა ოსმალეთს. ასეთია ამ შეთანხმების შინაარსი, რომელიც მიღებული იქმნა პარიზში საფრანგეთის, ინგლისისა და იტალიის წარმომადგენელთა თათბირზე. ამ თათბირზე, როგორც ირკვევა, გაიმარჯვა საფრანგეთის პოლიტიკამ. ეს იქიდანაც სჩანს, რომ თათბირმა გადაწყვიტა გაგზავნოს თავისი სრული უფლებიან წარმომადგენლად სმირნაში ფრანკლინ ბუიონი, რომელიც თავიდანვე მომხრე იყო ადრიდანვე ოსმალეთის სუვერენიტეტისა კონსტანტინოპოლზედ და საერთოდ მხარს უჭერდა შეთანხმებას ოსმალეთთან მისი უფლებების დაცვის ნიადაგზედ.

მოკავშირეთა ეს ნოტა გადაეგზავნა ქემალ-ფაშას მთავრობას, საიდანაც ჯერ არ მიუღიათ ოფიციალური პასუხი. საფრანგეთის პრესა იუწყება ავან სადლ, რომ ანგორა თანახმა არის მოლაპარაკებაზე სრუტეების შესახებ.

ამჟამად ჩვენ ვხედავთ, რომ ბერძნთა ჯარების სრული დამარცხებისა და მათი აზიიდან ევაკუაციის შემდეგ იწყება პერიოდი მშვიდობიანი მოლაპარაკებისა.

მაგრამ მოკავშირეთა დიპლომატია თუ ერთი მხრით მშვიდობიანი ენით ლაპარაკობს, მეორეს მხრით გაცხარებული ენერგიით ემზადება ომის შესაძლებლობისათვის. ნაუენის რადიოს ცნობით, ინგლისმა თავი მოუყარა დარდანელსა და ბოსფორში თავის ხმელთა შუა ზღვის ესკადრას და კონტროლს უწევს გემთა მიმოსვლას მარმარილოს ზღვაზედ: საფრანგეთსაც გადაუწყვეტია აქვს გაგზავნოს დამხმარე ძალები თავისი ახლო აღმოსავლეთის საზღვაო ძალებისათვის. ქემალ ფაშა თავს უყრის თავის ჯარებს იზმიდთან, რომ იყოს მზად მოქმედებისათვის, თუ პარიზის კონფერენცია არ მიიღებს ოსმალეთის მოთხოვნილებებს. როგორც ვხედავთ, ახლო აღმოსავლეთის საკითხმა მეტად დასძაბა ნერვები და დიპლომატიის მშვიდობიანი ენით ლაპარაკობასთან ერთად ხდება სამხედრო ძალების კონცენტრაცია მთავარ სტრატეგიულ პუნქტებში.

კერზონის, პუანკარესა და სფორცას ნოტის მნიშვნელობა მრავალ მხრივი არის. მან დაგვანახვა, რომ მოკავშირეებმა შესძლეს ერთიერთი ენის გამონახვა ახლო-აღმოსავლეთის საკითხში. ამ ახლო წარსულში მათი ინტერესები დაპირისპირებული იყო ერთი მეორეს საწინააღმდეგოთ და იარაღით ხელში ებრძოდნენ. ქემალ ფაშას გამარჯვებამ და ბერძნების დამარცხებამ ხელი შეუწყო ინგლისის პოლიტიკის დამარცხებას ამ საკითხში. დღევანდელი შეთანხმება მოკავშირეთა შორის აღიარებული არის ინგლისის დამარცხების ნიადაგზედ, პოლიტიკურად ინგლისი დამარცხდა ახლო აღმოსავლეთის საკითხში და პუანკარემ აიძულა თავის ჯერ-ჯერი შეთანხმების გზას დასდგომოდა ოსმალეთის მიმართ. ინგლისის მდგომარეობა იმდენად გართულებული და სერიოზული არის მთელს აზიაში, რომ იძულებული ხდება შეთანხმების გზას დაადგეს და ოსმალეთს მშვიდობიანი ენით დაუწყოს ლაპარაკი.

მეორეს მხრით პარიზის დღევანდელი ნოტა არსებითად არის რევიზია სევრის ხელშეკრულებისა, რომელიც ოსმალეთის სუვერენობის განადგურებაზე და მისი ტერიტორიის დაქუცმაცებაზედ იყო აგებული. სევრის ხელშეკრულება ვერსალის გაგრძელებაა, ის იმავე აგრესიული მეთოდებით არის შედგენილი, როგორც ვერსალის ხელშეკრულება გერმანიასთან. ევროპაში დამარცხდა ეს ხელშეკრულება და დღითი-დღე მოკავშირენი მისი პირობების რევიზიაში არიან. ანატოლიის მოძრაობამ უნიადაგო გახადა სევრის ხელშეკრულება და დღეს პარიზის თათბირი ფორმალურად აღიარებს მისი გადასინჯვის საჭიროებას. ეს ფაქტები ნათლად მოწმობენ, რომ იმპერიალისტური მეთოდით შეუძლებელი ხდება მშვიდობიანი ზავის დადგენა და ვერსალისა და სევრის პირობები მიუღებელი არის თვით ცხოვრების ვითარებისათვის.

მაგრამ პარიზის დღევანდელი შეთანხმება მხოლოდ თრაკიის სრუტეების და კონსტანტინოპოლის საკითხს შეეხება. აქ არაფერი არის ნათქვამი მესოპოტამიის, სირიისა, პალესტინისა და სხვების შესახებ. ოსმალეთის აღდგენა არ ხდება მთელს მის ყოფილ საზღვრებში. ეს გარემოება კვლავ ჰქმნის შეთანხმებისა და მოლაპარაკების ჩაშლის შესაძლებლობას. ოსმალეთის მისწრაფებაა აღადგინოს ხელუხლებლობა და სუვერენობა მისი ტერიტორიისა. საკითხი იმაში გარდება, თუ რამდენად დასთანხმდება იგი დარდანელის, მარმარილოს ზღვისა და ბოსფორის თავისუფლებას და ერთა ლიგის ხელმძღვანელობას მათზედ. მეორეს მხრით ოსმალეთის ევროპის ტერიტორიაზედ ხელმეორედ შემოსვლას და მის თრაკიასა და ადრიანოპოლში გაბატონებას ეწინააღმდეგებიან სამხრეთ-სლავიის, რუმინიისა და საბერძნეთის მთავრობები.

აღსანიშნავია მესამე მომენტი პარიზის ხელშეკრულებისა. მოკავშირეები ახლო-აღმოსავლეთის საქმეებისთვის კონფერენციაზედ იწვევენ ბრიტანეთს, საფრანგეთს, იტალიას, იაპონიას, სამხრეთ-სლავიას, საბერძ. და ოსმალეთს. თავისთავად ცხადია, რომ ამერიკაც, დაესწრება იგი ოფიციალურად თუ არა, დიდი გავლენა ექნება ამ კონფერენციაზე, ისე როგორც გენუასა და ჰააგაში ჰქონდა. მაგრამ საკითხი ამ მხრივ არ არის საინტერესო ამ ჟამად. საქმე ის არის, რომ პუანკარე და კერზონ-ლოიდ-ჯორჯი, დაუძინებელი მტრები არიან საბჭოთა რუსეთის არ იწვევენ ამ კონფერენციაზედ რუსეთს, უკრაინას, საქართველოსა და ბულგარეთს. ეს სახელმწიფოები პირდაპირ დაინტერესებულნი არიან სრუტეებისა და აღმოსავლეთის საკითხით და აგრეთვე შავი ზღვის სანაპიროებზედ ბინადრობენ. საბჭოთა რესპუბლიკების პოლიტიკური და ეკონომიური ინტერესები ღრმად არის ამ კითხვების ირგვლივ და მათი არ მოწვევა ამ კონფერენციაზედ უდრის ამ რესპუბლიკების იზოლაციას. როგორც ვიცით, ამ თათბირზედ საფრანგეთმა გაიმარჯვა ფაქტიურად, პუანკარეს მთელი პოლიტიკა კი მიმართული არის საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. პუანკარე-კერზონი დღეს შეთანხმებულად გამოდიან, რომ აღმოსავლეთში მკვიდრი ძალა შექმნან საბჭოების წინააღმდეგ. მათ მხედველობაშიც არ მიუღიათ საბჭოთა რუსეთის 13 სექტემბრის ნოტა, სადაც გარკვევით იყო განცხადებული, რომ საბ. რუსეთი, უკრაინა და საქართველო არსებითად დაინტერესებულნი არიან აღნიშნულ კითხვებით და არ სცნობენ არც ერთს გადაწყვეტილებას, რომელიც მათ დაუკითხავად იქნება გამოტანილი.

თუ პარიზის საკითხს ღრმად დავაკვირდებით და პოლიტიკურად შევაფასებთ, ის გარკვევით არის მიმართული საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ. პუანკარეს სურს ინგლისთან მორიგების გზით ოსმალეთი თავის მხარეზე გადაიყვანოს და ამ საშუალებით უდიდესი პოლიტიკური საზღვარი დაუდოს რუსეთის გავლენას აღმოსავლეთში. ეს არის ის უდიდესი სტრატეგიული რკალი, რომელიც აღმოსავლეთის მხრიდანაც შემოზღუდავს საბჭოთა რესპუბლიკებს და გასაქანს არ მისცემს მას. დასავლეთის მხრით ამ პოლიტიკური საზღვრების რგოლს ასრულებენ ფინეთიდან დაწყებული, ბალტიკის სახელმწიფოები, პოლონეთი, ჩეხო-სლოვაკია რუმინია და მთელი მცირე ანტანტა. დღეს ასეთივე პოლიტიკური კვანძები აღმოსავლეთის მიმართულებითაც ინასკვება.

ამიტომ პარიზის თათბირი და ის შეთანხმება, რომელსაც მიაღწიეს მოკავშირეებმა ერთიერთშორის, მეტად დამაფიქრებელია. რასაკვირველია, მათი შეთანხმება არ არის მარტო საკმარისი; უკანასკნელი სიტყვა ამ შემთხვევაში ოსმალეთს ეკუთვნის. იმაზედ არის დამოკიდებული, თუ რა გზას დაადგება ანგორის მთავრობა. მოისურვებს ის შეუდგეს მოკავშირეთა ბანაკში მშვიდობიანის გზით და ამგვარი სახით მოისურვოს კომპენსაციების აღება სხვა მიმართულებით, თუ კვლავ განაგრძობს ომს ყოველს მიმართულებით თავისი მთლიანობის აღსადგენად. ახლო აღმოსავლეთის კვანძი აქ ინასკვება, პარიზის ნოტის შემდეგ სიტყვა ოსმალეთს ეკუთვნის და მის პოლიტიკაზედ არის დამოკიდებული შექმნილ პირობებიდან გამოსავალი საშუალების არჩევა.

მდგომარეობა იმდენად გართულებული არის, რომ შესაძლებელია ვითარებამ საბჭოთა რესპუბლიკებისათვის არა სასურველი მსვლელობა მიიღოს.

ამიტომ გვმართებს მეტი სიფხიზლე და მეტი ენერგიის გამოჩენა.

ყველამ კარგად უნდა იცოდეს, რომ გადამწყვეტი სიტყვა ბოლოს და ბოლოს სახელოვან წითელ არმიის ძალას ეკუთვნის და თუ ვინმე მოისურვებს ჩვენი ინტერესების ფეხქვეშ გათელვას, მან წინ და წინ უნდა გაიგოს, რომ რევოლიუციონურ ჯარს აქვს საშუალება ისე, როგორც ახლო წარსულში ყოველს ფრონტზედ გაემკლავება მოზღვავებულ მტრებს, აღმოსავლეთის მიმართულებითაც დაიცვას თავისი ხელუხლებლობა, თავისი სინიდისი და პატიოსნება.

რევოლიუციონური ხალხის ძლიერი ნებისყოფა მტკიცედ უნდა იდგეს თავისუფლების სადარაჯოზედ ყოველგვარ საფრთხის წინააღმდეგ გასამკლავებლად.

ხ. დგვიანი.

## დოგმატიური პოლიტიკა

„ჩვენ ვლაპარაკობთ მიმზიდველობის კანონის შესახებ და თითონვე არ ვიცით, რა არის მიმზიდველობა. ჩვენ ვლაპარაკობთ ძალის შენახვისა და განაწილების შესახებ და თითონვე არ ვიცით, რა არის ძალა. ჩვენ უზუნური კმაყოფილებით ვლაპარაკობთ ნივთიერების ატომიურ შემადგენლობაზე და თითონვე არ ვიცით, რა არის ატომი, რა არის ნივთიერება.“ ამბობდა გ. ბოკლი.

თუ ბუნებისმეტყველურ მეცნიერებათა შესახებ შეიძლება ითქვას ეს სიტყვები, მით უფრო შეიძლება ანალოგიურ დებულების წამოყენება სოციალური მეცნიერების მიმართ, სადაც საქმე გვაქვს უფრო რთულ და გაურკვეველ მოვლენებთან.

აზროვნების განვითარებას ჯერ კიდევ არ მიუღწევია იმ სიმაღლემდე, რომ ადამიანის გონება საფსებით გაბატონებულიყოს მოვლენათა რთულ ხლართზე და შეეძლოს მისი კანონების ახსნა. ფაქტიურ ლაბირინტში დღესაც ისევ ხეტიალობს ჩვენი მაძიებელი გონება და რამდენადაც მრავალი რამ ნათელი და აშკარა ხდება ჩვენთვის, იმდენად კიდევ უფრო მრავალი საიდუმლოების წინაშე ვდგევით.

მიუხედავად ამისა ჩვენმა აზროვნებამ მრავალი დაკვირვების შემდეგ მოგვცა მიზეზი შერწყმისა და განვითარების ტენდენციის აღმოჩენა მოვლენებში.

სოციალური მოვლენებიც, ისე როგორც ფიზიკური, ემორჩილებიან მიზეზობრივ ფუნქციონალურ დამოკიდებულებას, მაგრამ სოციალურ მეცნიერებას ჯერ კიდევ ვერ გაუცია კატეგორიული ხასიათის კანონები, რომელნიც სისწორით გვიჩვენებდენ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ეტაპებს.

სტატისტიკა მასიური დაკვირვების საშუალებით საშუალო სიდიდეს მოგვცემს და საზოგადოებრივ მოვლენათა თანმიმდევრობასა და წესიერებას აღმოაჩენს, მაგრამ იგი კიდევ ვერ გვეტყვის კატეგორიული მანერით რაიმეს, აუცილებელს.

ევგენის თეორია მათემატიკურ ანალიზსაც მიიზიდავს და წინასწარმეტყველების გათვალისწინებით საეჭვოდ დებულებას მოგვაწვდის, მაგრამ თვით თეორიის სახელწოდებაც მას გვეუბნება, რომ ასეთი რამ საეჭვოა, შესაძლებელია და არა აუცილებელი.

პოლიტიკური ეკონომია ეკონომიურ მოვლენათა მიზეზობრივ კანონს შეგვიქმნის, მაგრამ მასაც პირობითი ხასიათი აქვს და თუ წინამძღვრები იქნა შეცვლილად დაცული მაშინ არის შესაძლებელი მოვლენის სათანადო დასკვნა.

სოციოლოგიაც ჰიპოთეტიური კანონებით გვიმასპინძლდება. მრავალ სკოლათაგან არც ერთს არა აქვს ხელში კატეგორიული ბაზა. ეს არც გასაკვირია. მოვლენის შემეცნებისათვის ჩვენ დაგვჭირდება ერთი მხრით ყველა მიზეზობრივ—ფუნქციონალური კანონების ცოდნა და მეორე მხრით ყველა ძალისა და სხეულის ცოდნა, რომელნიც მოქმედებენ ბუნებაში. ასეთი რამ კი შეუძლებელია ჯერ-ჯერობით ჩვენი ცნობიერებისათვის.

ამიტომ ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ტენდენციების გათვალისწინება. მათი მიმართების შეცნობა. იმდენადვე პოლიტიკა ჰიპოთეტიური ხასიათის მატარებელია.

პოლიტიკას საქმე აქვს საზოგადოებრივი ორგანიზმის რთულ ფუნქციებთან და რამდენადაც ჯერ კიდევ შეუძლებელია საზოგადოებრივი განვითარების კანონების სუსტი. ახსნა, იმდენად პოლიტიკა არ შეიძლება იყოს მტკიცე და აუცილებლობით ჰგულისხმობდეს განადგენას.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში მრავალი ფაქტორები მოქმედებენ ერთიერთის შორის, ათასგვარ დამოკიდებულებით არიან გადაჭდობილი სოციალური ძალები და ნურვინ იტყვის, რომ მხოლოდ მას შეუძლია ყოველივე ძალების გათვალისწინება და ისეთი პოლიტიკის აგება, რომელიც აუცილებლად მიაღწევს განადგენას.

ამიტომ არის, რომ ხშირად დიდ პოლიტიკურ მოღვაწეებს ისტორია პოლიტიკურ სცენას ჩამოაშორებს და უმნიშვნელო პიროვნებებს აიყვანს პოლიტიკურ სიმაღლეზე. ამიტომ არის, რომ მრავალჯერ იმსხვრევა პოლიტიკური პარტიების გეზი და ხშირდება პოლიტიკის რევიზია. ეს ყოველივე ბუნებრივია.

პოლიტიკური პარტია დამარცხდება არა შემცდარი პოლიტიკის აღებით, არამედ შეცდომის ვერ დანახვით. თუ პარტია კრიტიკულად იხილავს თავის ნაბიჯებს და შექმნილ ობიექტიურ—სუბიექტიურ გარემოს იგი ერთხელ შეცდომით აღებულ გზას სცვლის და ახალი პირობების მიხედვით მიმართავს თავის გზას.

კარლოს მარქსი „კაპიტალის“ პირველი ტომის წინასიტყვაობას დანტეს სიტყვებით ასრულებს, რომ „მიჰყევი შენ გზას და დეე ხალხმა ის ილაპარაკოს, რაც სურს“. ამ სიტყვებში არის ჭეშმარიტი შეფასება პოლიტიკური მოღვაწის და იმ გზის, რომელსაც უნდა ადგეს პოლიტიკური პარტია თავის მუშაობის პროცესში.

მასის ფსიხოლოგია, ქუჩის გავლენა, ბაზრის ატმოსფერა, არ უნდა გახდეს პოლიტიკური პარტიის სახელმძღვანელო დებულება. ვინც გაჰყვება ამ გზას, იგი გადიჩეხება უფსკრულში, რადგან ამგვარ მიულ მასას არა აქვს გარკვეული მიზნები და იგი შეუერთდება იმ ნიადაგს, რომელიც ადგილი მდებარეობას თანახმად იცვლის მიმდინარეობას და უანგარიშოთ წაიღებს ყოველივეს.

ჩვენში ყოველთვის ადგილი ჰქონდა დოგმატიურ პოლიტიკას. კრიტიკული შეფასება საკუთარი პოლიტიკის და შეცდომების აღიარება ჩვენ არ მოგვესმენია არც ერთი პოლიტიკური პარტიისაგან. ჩვენში ყველას ჰგონია, რომ ის არის ერთად ერთი საზომი და ბარომეტრი პოლიტიკური მოვლენების და ასეთი ფანატიზმი მეტად საზიანოა პოლიტიკური და სოციალური შემოქმედებისათვის.

დღესაც ბევრია დოგმატიური პოლიტიკის მიმდევარი, რომელიც ერთხელ აპრიორი მიღებულ და აქვიატებულ აზრს ადგია და ვერ წარმოუდგენია სხვაგვარი გზა, სხვა გვარი პოლიტიკა.

ყველამ უნდა შევიგნოთ, რომ განსაკუთრებულ კრიტიკული თვალთახედვა გვმართებს პოლიტიკის სფეროში. ვინც ამას ვერ შესძლებს, იგი გადაჰყვება დოგმატიურ პოლიტიკას.

ხ.—ძლი.

## პარტიული აღმშენებლობა

2.

გონებრივ ძალების საკმაო რაოდენობა მოიპოვება ჩვენი პარტიის განკარგულებაში. ამ ინტელექტუალი არტილერიის ამოქმედება უპირველესი საკითხთაგანია. ღარიბი ახალგაზრდობა, „სტუდენტობა, პროლეტარული ინტელიგენცია, რომლებიც საკმაო ინტენსივობით მიილტვიან საბჭოთა სისტემის და მშრომელთა კლასის კლასიურ გაბატონების აღიარება-განმტკიცებისაკენ და ირაზმებიან ჩვენს რიგებში, არ უნდა დარჩნენ „უსაქმოთ“, პარტიულ მუშაობის გარეშე.

ჩვენი ამხანაგების, ჩვენი პარტიის მუშაობა არსებითად არ შეიცავს ვიწრო პარტიულ თვალსაზრისს. ჩვენი მუშაობის დანიშნულება უკვე სცილდება პარტიულ ჩარჩოებს და იგი მეტად ფართო სივრცეზე ვრცელდება. ეს ის სივრცეა, რომელიც შეიცავს საბჭოთა სისტემის და მშრომელთა ხალხის დიქტატურის ციხე-სიმაგრის საფუძვლებს.

დღეს, სამწუხაროდ, ყველასათვის, მშრომელი მასსის ყველა ნაწილებისათვის არ არის საბჭოთა რეჟიმის დედა-აზრი პოპულიარული. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი მშრომელი ხალხის, სოფლის გლეხ-კაცობის დიდ უმრავლესობას სრულებით არა აქვს სწორედ გაგებული საბჭოთა რესპუბლიკის ძირითადი მოტივები. ცხადია, ამაში ისტორიული დანაშაული მიუძღვის ქართველ მენშევიკებს. და მათ ავან-ჩავან წყალწყალა პარტიებს. იშვიათია მსგავსი პარტია პროვოკაციის, დემაგოგიის და ინსინუაციის „წარმოების სფეროში. სოციალ-დემოკრატია დემაგოგიურის ფანდებით გაბატონდა ჩვენს მშრომელ ხალხზე. დემაგოგიური ლოგიკა მუდამ მომარჯვებული ჰქონდათ მენშევიკებს ხელში. ბატონობის უკანასკნელ წლებში, „ოქროს ხანაში“, მენშევიკების დემაგოგიურ აზრის გაქანება მთლიანად მიმართული იყო საბჭოთა ფედერაციის პრესტიჟის დაცემის, საზოგადოდ— საბჭოთა სისტემის წინააღმდეგ. მშრომელი ხალხის უმრავლესობამ კიდევაც შეითვისა სოც.-დემოკრატიული „ქამანი“. მშრომელი ხალხი თანდათან რწმუნდება იმაში, რომ მენშევიკებისაგან იგი დარჩა სასტიკად მოტყუებული. მაგრამ შემცდარი ვიქნებით აქედან დავასკვნათ, რომ მენშევიზმის ეპიდემიურ ბაცილებისაგან ჩვენი ხალხის განკურნე-

ბა ერთის დაკვრით და ნახტომით შეიძლებოდეს.

ვისაც სოფლად უმუშავნია, სოფლის დემოკრატიასთან უშუალოდ დაახლოვებულა, უეჭველად დაადასტურებს ყოველივე ამას.

მართალია, ჩვენი პოლიტიკური მტრების მნიშვნელოვანი ძალები მოკლებულია დაბა-სოფლებში თარეშს, მაგრამ მაინც დანავარდობენ გლეხთა ქოხებში მათი „შავი აჩრდილები“, წვრილ-ფეხა აგიტატორები, პაწაწკინტელა „ორატორები“, რეაქციის მოციქულები.

დიდი ჯაფაა საჭირო, დაუღალავი მუშაობა, თავგანწირული პოლიტიკური ბრძოლა მშრომელი მასსის ყალბ შეხედულებათაგან საბოლოოდ განთავისუფლებისაგან. სწორედ აქ ისახება ჩვენი პარტიის განსაკუთრებული მისია, სპეციფიური დანიშნულება.

დღეს მენშევიკები ეწევიან პროვოკაციას „კომუნა“-ს „კომუნისტი“-ს წინააღმდეგ. მიწის მუშები, მათი აზრით, კომუნიზმში ყოველგვარ ბიწიერების სიმბოლოა, წართმევა-წაგლეჯის, უკანონობის უსამართლობის განსახიერება. დიახ, ასე „ისახელეს“ თავი მენშევიკებმა სოციალისტურ მოძრაობის ისტორიაში! სოციალისტურ შეგნების გლეხ-კაცობაში შეტანის მაგიერ, თავიდან ბოლომდე მეშჩანური პსიხოზით გაჟღინთეს სოფლის ღარიბი ხალხი მენშევიკებმა. პარტიული კაპიტალის გაფართოების ჟინს საკუთარი სიცოცხლე თან გადაატანეს კიდევაც ს. დემოკრატებმა...

კომუნისტის პროპაგანდისტის გამოსვლას იმდენი რეზულტატები არ ახლავს თან, რამდენიც ჩვენი პარტიული ამხანაგების სიტყვას. უპარტიო მასსა უფრო მეტის ნდობით და თანხმობის ნიშნებით ეგებება ჩვენს პარტიას. ასეთია ფაქტის ობიექტიური აღნუსხვა. უპარტიო მასსის შემეცნებით, მემარცხენენი „სხვა“ პარტიაა, კომუნისტების „მოწინააღმდეგე“ და თუ ისინიც იმას ამბობენ, რასაც კომუნისტებიც იცავენ, მაშ ჭეშმარიტება, სიმართლე საბჭოთა რეჟიმისაკენ ყოფილა და არა მენშევიკებისაკენო, ფიქრობს გლეხი.

ამიტომაც არის, რომ ჩვენი პარტიის მუშაობას დანიშნულების ფართო მასშტაბი აქვს და უაღრესად რევოლიუციონური და სოციალისტური ბუნება.

იშვიათია ჩვენი სიტყვა უშედეგოთ გაიფანტოს, უნაყოფო დარჩეს, ვერ მოხვდეს ნოყიერ ნიადაგს, პარტიულ მუშაობის პრაქტიკა ადასტურებს ამას. ამიტომ გვმართებს ჩვენ პარტიული ნერვების დაჭიმვა, პარტიული ძალების ამოქმედება, პარტიული მუშაობის კოცონის დანთება.

პარტიულ მუშაობის თვალსაზრისით, პროვინცია მეტად სავალალო მდგომარეობაშია. ძლიერ ნაკლებად გვყავს მომზადებული ძალები პერიფერიებში. ეძნელებათ საზოგადოდ სოფლის ცხოვრების თანამგზავრობა. ყველა ტფილისისაკენ მიისწრაფვის, ყველას სურს საბოლოოდ ჩაიძიროს დედა ქალაქის ცხოვრების უფსკრულში. თუ რომელიმე „ჩინოვნიკი“, სპეკულიანტი ან კარიერისტი ცენტრისაკენ მიეშურება თავგანწირულად, ამას აქვს ჩვენთვის გარკვეული ხასიათი. მაგრამ ძნელი გასაგებია და პირ და პირ მიუღებელი პარტიულ მუშაკების ტფილისისაკენ ლტოლვა. მთავარ კომიტეტმა სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს ამ სამწუხარო მოვლენას და მოახდინოს პარტიულ ძალების ჩვენი ქვეყნის პერიფერიებში გაფანტვა.

სავსებით მიუღებელია და შეუწყნარებელი მაზრებში პასუხისმგებელ ამხანაგების უყოლობა. ყოველ მაზრაში თითო ამხანაგი მაინც უნდა იყოს, რომელიც ინსტრუქტორის როლს ითამაშებს მაზრის მაშტაბში. სოფლის ორგანიზაციებს უნდა მუდმივი ხელმძღვანელობა. სამაზრო კომიტეტი ვერ შესძლებს ამას, თუ მის განკარგულებაში არ იქნება პასუხისმგებელი პარტიული მუშაკი მხოლოდ პარტიულ მოვალეობა—დავალებებით დატვირთული.

ჯერ კიდევ მოუწესრიგებელია ჩვენი ეკონომიური ცხოვრება, ნორმალი პირობებისაგან შორს ვიმყოფებით. ყოველი ჩვენთაგანი დიდის ვაი-ვაგლახით იკმაყოფილებს მე-20 საუკუნის ადამიანის მინიმალი მოთხოვნილებებს. ყველა ლუკმა-პურისათვის იბრძვის. ბევრი ჩვენთაგანი მუდამ დღე მჭადის ნატეხზე ოცნებობს. ასეთ პირობებში მეტად ძნელი საქმეა რომელიმე ამხანაგის „განწირვა“ და პარტიულ მუშაობაზე მიჯაჭვა. პარტიის უმაღლესმა ორგანომ უნდა მიიღოს ეს მხედველობაში და იზრუნოს პასუხისმგებელ ამხანაგების, რომლებიც შეუდგებიან პარტიის სამსახურს, ასე თუ ისე უზრუნველსაყოფად. „ნეპო“-ს გატარება პარტიულ აღმშენებლობაში ჯერ მიზან შეუწონელია. ჩვენი სასოფლო—სათემო და სამაზრო კომიტეტში ფინანსიურ უილაჯობას განიცდის და მათ არ შეუძლიათ პასუხისმგებელ ამხანაგების შენახვა. სანამ ეს ასეა, სანამ პარტორგანიზაციები ფინანსიურადაც არ მომარაგებულა, ცენტრალ ორგანოს ჰმართებს მნიშვნელოვანი წვლილის გაღება.

ამრიგად, პასუხისმგებელ მომუშავე ამხანაგების კადრის შედგენა, სამაზრო ინსტრუქტორების გაჩენა ერთი მთავარი საკითხთაგანია პარტიის წინაშე წამოჭრილი.

გ. მუშიშვილი.

# ჟურნალ—გაზეთებიდან

**ახალი წიგნი საქართველოზედ** 1921 წელ. პარიზში გამოვიდა ვლ. ვოიტინსკის წიგნი „La Democratie Géorgienne“ (საქართველოს დემოკრატია). პირველ ნაწილში აღწერილია ქვეყანა და ხალხი უძველესი დროიდან 1907 წლამდე და წარმოადგენს ცდას ააგოს საქართველოს ფსიქოლოგია რასიულ, კლიმატიურ და სოციალურ პირობებზედ. მეორე ნაწილში ავტორი გადადის საზოგადო განვითარების იმ მამოძრავებელ ძალებზედ, რომელთაც უნდა მიეცათ დემოკრატიული ელფერი პოლიტიკური მოძრაობისათვის საქართველოში და უნდა ახსნას ის პარადოქსალური მოვლენა, რომ სოციალიზმმა საქართველოში მიიღო მარქსისტული, სახელდობრ მენშევიკურ სოციალ-დემოკრატიული ფორმა, მაშინ როცა ქვეყნის მატერიალური პირობები ხელს არ უწყობს ამ მოძრაობის განვითარებას, ვინაიდან საქართველოში არ არის სამრეწველო პროლეტარიატი, გაბატონებულია წვრილი სოფლის მეურნეობა ფეოდალური ნაშთებით და ბევრი პატრიარქალური ჩვეულებებით. ამის ახსნას ავტორი პოულობს იმ პოლიტიკურ ევოლიუციაში, რომელიც განვლო საქართველომ და რომლისაგან შეიძლება დავასკვნათ, რომ ს.-ც. დ-იული მოძრაობის განვითარება ჩვენში იმდენადვე იყო დამოკიდებული იდეისაგან, რამდენად ნივთიერი პირობებისაგან. მესამე ნაწილი შეიცავს საქართველოს რუსეთიდან ჩამოშორების ისტორიას, რაც ისტორიულ აუცილებლობას წარმოადგენდა საქართველოსათვის.

მეოთხე ნაწილი გვიხატავს იმ სიბნელეთ, რომელიც გარს არტყია ახალ რესპუბლიკას საგარეო პოლიტიკაში და აგვიწერს იმ გზას, რომელსაც გაჰყვა საქართ. დემოკრატია სახელმწიფოს მოწყობაში და იმ რეფორმებს, რომელსაც ატარებდა ცხოვრებაში სოც.-დემოკრატიული მთავრობა, განსაკუთრებით აგრარულ სფეროში. (ეკონომისტი, № 4—5, 1922 წ.)

**ი. ბრაუნტაილის წიგნი საქართველოზე** ი. ბრაუნტაილმა, რომელიც აპრილის თვეში საქართველოში იყო და ავსტრიაში დაბრუნების შემდეგ წერილები მოათავსა საქართველოს შესახებ ვენის მუშათა გაზეთში, წიგნად გამოსცა თავისი წერილები. წიგნი გადაითარგმნა ევროპიულს ენებზედ. ევროპის კომუნისტებმა ბრაუნტაილს პასუხი გასცეს თავიანთ პრესაში. დაიბეჭდა აგრეთვე მოსკოველ ქართველის წერილები ბრაუნტაილის წინააღმდეგ, რომელზედაც ბრაუნტაილმა უპასუხა „არბაიტერ ცაიტუნგში“.

აგრეთვე საქართველოს შესახებ წერილები გამოაქვეყნა ბელგიელ სოციალისტმა-კოოპერატორმა ვიქტორ სერვიმ, რომელიც საქართველოში იყო ამა წლის გაზაფხულზედ. ბრაუნტაილივით, სერვიც შავი ფერადებით ხატავს საბჭოთა საქართველოს მდგომარეობას და ილაშქრებს ბოლშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ.

**კომინტერნის წინადადება.** გაზ. „პრავდაში“ ამხ. რადეკი სწერს: „ესერებზე გამოტანილ განაჩენით გერმანიის ს.-დემოკრატები აღშფოთდნენ და დახვრიტეს ამხანაგი ლევინი. გელცი და სხვა ამხანაგები კი იძულებული გახადეს ციხეში შიმშილობა გამოეცხადებიათ. კომინტერნის აღმასკომი მიმართავს სოც.-დემოკრატებს გაუცვალონ გელცი ტიმოფეევზე. ამას ისინი მიაღწევენ, ვინაიდან პარლამენტში გაერთიანებული დამოუკიდებელნი და შეიდამანელები უმრავლესობას შეადგენენ. ჩვენ მოველით, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატები არ იტყვიან: „დე იჯდეს საპყრობილეში ტიმოფეევი, ოღონდ სტკბებოდეს გერმანიის ბურჟუაზია მუშა რევოლიუციონერ გელცის [illegible]ნებით, რომ გაერთიანებული დამოუკიდებელნი და შეიდემანელები არ დააყოვნებენ გელცის განთავისუფლებას და ტიმოფეევის გერმანიაში გადასახლებას“.

# ახლო აღმოსავლეთი

**ანტანტის ნოტა ანგორის მთავრობისადმი.**

**ბორდო**, 24 სექტემბერი. მოკავშირე მთავრობების ნოტა ოსმალეთისადმი: „სამი მოკავშირე მთავრობა სთხოვენ დიდი ეროვნული კრების მთავრობას აცნობოს მათ, აქვს თუ არა მას სურვილი დაუყოვნებლივ გაგზავნოს ერთი სრულუფლებიანი წარმომადგენელი კრებაზე, რომელიც შესდგება ვენეციაში ან სხვა ადგილას, და რომელზედაც აგრეთვე მოწვეულ იქნებიან ოსმალეთის წარმომადგენლებთან ერთად დიდი-ბრიტანეთის, საფრანგეთის, იტალიის, იაპონიის, რუმინიის, სამხრეთ-სლავიის და საბერძნეთის სრულუფლებიანი წარმომადგენლნი. კრება შესდგება მაშინათვე მას შემდეგ, როცა დაინტერესებულ სახელმწიფოების მიერ მოხდენილ იქნება საჭირო განკარგულებანი, კონფერენციის მიზანი იქნება საბოლოო სამშვიდობო ხელშეკრულების განხილვა და დადება ოსმალეთსა, საბერძნეთსა და მოკავშირე სახელმწიფოებ შორის. სამი მოკავშირე მთავრობა სარგებლობენ ამ შემთხვევით, რათა განაცხადონ, რომ ისინი კეთილგანწყობილად უყურებენ ოსმალეთის სურვილს—კვლავ დაიკავოს ფრაკია მარიცამდე და ადრიანოპოლი: იმ პირობით, რომ ანგორის მთავრობა არ გაგზავნის თავის არმიას დროებითი ნეიტრალურ ზონებში სამშვიდობო მოლაპარაკების დროს, სამი მოკავშირე მთავრობა ხალისით დაუჭერენ მხარს კონფერენციაზე ოსმალეთის ამ საზღვრების დაწესებას, ამასთან დაადგენენ, რომ ხელშეკრულებაში საერთო თანხმობით მოხსენებული იქნება ზომები ოსმალეთის და მისი მეზობლების ინტერესების დასაცავად, ზოგიერთი ზონის დემილიტარიზაციის მიზნით, მშვიდობიანობის დასაცავად და რეგულიარული წესრიგის და ოსმალეთის ავტორიტეტის აღსადგენად და, ბოლოს, რათა ნამდვილად განხორციელდეს, ხალხთა ლიგის ხელმძღვანელობით,

# საბჭოთა თანწყობა და ეროვნული საკითხი

**ჩერქეზეთი.**

**2.**

ოფიციალურ ძველ რუსულ ცნობებში და მასალებში, რომელშიც ხვდებით საერთოთ კავკასიის ადგილების და თემების აღწერას, „ჩერქეზთა ერი, როგორც ასეთი, უკვე აღარ არსებობდა.

ადიღეელები მე-19 საუკუნის მიწურულში რუსეთის ფარგლებში დარჩნენ ყუბანის ოლქში 38 ათასი და შავი ზღვის პირა გუბერნიაში 1200 კაცი“.

სწორედ აქეთკენ მიისწრაფოდა რუსეთის თვითმპყრობელობა, სწორედ ეს იყო მისი მიზანი. რომ ოფიციალურად ცნობილი ყოფილიყო „რომ ჩერქეზთა ერი, როგორც ასეთი, აღარ არსებობდა“.

ასეთი იყო ძველი რუსეთის დამპყრობი პოლიტიკა, წვრილ ერთა გამანადგურებელი—გამჟლეტი პოლიტიკა. მაგრამ ერი, როგორც ასეთი დიდ ხანს უძლებდება ხოლმე თავის არსებობის გამანადგურებელ—გამაქრობელ პირობებს. როგორც კაცი და ტყანი არსებობს ის უკანასკნელ წუთამდე და კვდება მაშინ, როდესაც წყდება მისი შემადგენელი ნაწილი—ხალხი და ნადგურდება სავსებით მისი ტერიტორია. ასეთია ძველ რუსეთის ფარგლებში არსებულ წვრილ ერთა მდგომარეობა და მით უმეტეს ისეთი პაწია ერის, როგორიც იყო ჩერქეზეთი.

მაგრამ დაიმსხვრა დიდ რევოლიუციის ზარით 1917 წელს თებერვალში და ერთა თვითგამორკვევის საკითხი იყო მთავარი, რომელსაც თავისი დაკმაყოფილება უნდა სავსებით მიეღო, მაგრამ თებერვლის რევოლიუცია ამ შემთხვევაში მენშევიკ-ესერების წყალობით სუსტი გამოდგა ეროვნულ საკითხის გადაწყვეტაში. კერენსკი და წერეთელი მუქარას უგზავნიან წვრილ ერთა მოთხოვნილებებს და ამ მუქარაში ოქტომბრის რევოლიუციის წილმა რევოლიუციის ისტორიის ფურცლებიდან ერთა თვითგამორკვევის საკითხში და საერთო მშრომელთა ინტერესების გაერთიანებაში წახოცა სავსებით მათ სახელებთან ერთად მათი ანტიეროვნული მოქმედებაც.

დღეს კი ჩვენ მოწმენი ვართ საბჭოთა წყობილების, რომელთა გამარჯვება გამარჯვებაა წვრილი ერების. გარეშე საბჭოთა ხელისუფლებისა შეუძლებელია ავტონომიური არსებობა რუსეთში მოსახლე მრავალი წვრილი ერების, ეროვნული საკითხის სწორედ დაყენება, ეროვნული დროშის აფრიალება მისი ინტერნაციონალური გაგებით წინ მიუძღოდა რევოლიუციის დამცველ ავანგარდებს კონტრრევოლიუციონური ძალების საწინააღმდეგო ბრძოლაში.

რასაკვირველია, თვით რევოლიუციონურ ხანაში მრავალ გაუგებრობას და შეცდომებს აქვს საქმე, მრავალი უსამართლობა ხდება, უმთავრესად ერის თვით შემოქმედების შეზღუდვაში, ძველი იმპერიალისტური შოვინისტური თვალსაზრისით და სხვა მრავალი, მაგრამ ეს პირები თანდათან იცვლება, ყოველივე თავის ნამდვილ კალაპოტში დგება. მაგალითისთვის ავიღოთ ისევ ჩერქეზეთი. ამ შემთხვევაში ვალაპარაკოთ თვით დღევანდელ ჩერქეზეთის მოწმე და მისი ერთი ხელმძღვანელთაგანი ამხ. ისკანდერ ალიევი: „ჩერქეზებმა მადლიერე 1917 წ. თებერვლის რევოლიუციამდე, რომლის დროსაც სრულიად გარეშე მყოფი პოლიტიკურ ცხოვრებიდან, თავიანთ თავადების გავლენის ქვეშ კავშირი შეჰკრეს ყაზახთა ბობოლებთან. თავადების გავლენის და აგიტაციის და ყაზახებთან კავშირის სამწუხარო ნაყოფი გამოირკვა ოქტომბრის რევოლიუციის უმალვე, როდესაც ერთი აულის მიერ იარაღის ჩაბარებლობის გამო ჩერქეზების წინააღმდეგ შეიქმნა რევოლიუციონური რაზმების მოძრაობა. ამ რაზმებში მრავალი საეჭვო ელემენტები იყვნენ, რომელნიც ჩერქეზთა საწინააღმდეგო ექსპედიციაში კარგ შემთხვევას ხედავდნენ საძარცვავად და გასამდიდრებლად. შედეგათ ყოველივე ამას მოჰყვა 2000 ჩერქეზის (ქალ-ბავშვით) დახვრეტა, ზოგიერთ აულების დანგრევა, მრავალი ნაძარცვი ნადავლი გადატანილი იყო სტანიცებში. ადგილობრივი საგანგებო კომისიაც (ჩეკა) არ ერიდებოდა ჩერქეზებს. მხოლოდ 1919 წ., როდესაც საბჭოთა ხელისუფლება მკვიდრად სავსებით დამყარდა კავკასიაში, განადგურებული და ტერორის ქვეშ მყოფი ჩერქეზთა მასსები დარწმუნდნენ თავის უბედურების დამთავრებაში და მფარველობა ნახეს ადგილობრივ საბჭოთა ხელისუფლებასთან და მტკიცედ დისციპლინიურ წითელ არმიასთან. ამიტომ ახლად გამეფებულ წესების სისწრაფით მოედო მთელ აულებს და თითქმის დაწყებული უწესრიგო ემიგრაციაც შესწყდა, ჩერქეზები გაბედულად დაბრუნდნენ [illegible] მშვიდობიან შრომას და სრული რწმენითაც ეკიდებოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას.

მაგრამ, სამწუხაროდ, მაშინ კიდევ არ დამთავრდა მათი უბედურობა. კოლონიზატორულ ჯგუფებმა ადგილებზე საბჭოთა დაწესებულებების მუშაობის დასაწყისში შეძლეს თავის საქმეების მოგვარება და საჩუქრის სახით ვითომდა საბჭოთა წყობილების სამსახურისათვის და თეთრ-გვარდიელთა ეპოქის დროს მიყენებულ ზარალში მოასწრეს მიეღოთ საჩუქრად ჩერქეზების მიწები. ჩერქეზები ელოდდენ, რომ მათ დაუბრუნებდნენ მიწებს, რომელიც ოდესღაც მოპარული ჰქონდათ ხელმწიფის მთავრობიდან, მაგრამ ეს მიწები წართმეული აღმოჩნდა და არა ძველი მოსახლეების მიერ, რომელთაც შესაძლოა უფრო მეტი უფლებები ჰქონდათ ამაზე, არამედ მოსულ ელემენტების მიერ. ამით საქმე არ დასრულებულა. მეზობელ რუსულ სოფლებმა დაიწყეს ხელში ჩაგდება იმ მიწებისაც კი, რომელსაც არ მიკარებია ხელმწიფის მთავრობაც“. *)

ასეთი იყო მდგომარეობა ჩერქეზებში 1919 წელს—საბჭოთა ხელისუფლების პირველ ხანებში, მაგრამ ჩერქეზთა საკითხი თანდათან მომწიფდა და ამ მომწიფების ეტაპები შეიძლება შემდეგ ნაირად გამოვხატოთ.

პირველი ეტაპი იყო 1920 წელს, როდესაც ყუბანის და შავიზღვის რევკომთან ყოფილ მთიელთა საქმეების კომისარიატის მაგიერ შეიქმნა მთიელთა განყოფილება.

იმავე წელს ზემოაღნიშნულ რევკომის დადგენილებით მთიელთა თემები ცალკე საადმინისტრაციო ერთეულში უნდა გამოყოფილიყო, რის გამოც „იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილიყო მთიელთა მშრომელი მოსახლეობა და მოეწყო მას თავისი ცხოვრება ეროვნულ თავიანთ ადათების საფუძვლებზე, მასთანვე პოლიტიკური მუშაობის გაძლიერებისა და საბჭოთა ხელისუფლების აღმშენებლობის გამგეობის საჭიროებისათვის“, მოწვეული იყო მშრომელ მთიელთა ოლქობრივი მეორე ყრილობა, რომელმაც ამოირჩია მთიელთა აღმასკომი „ყუბანის და შავი ზღვის პირა ჩერქეზთა ეკონომიური კეთილდღეობის ასაწევად და სამმართველოდ“. 1921 წელს ეს დადგენილება დაამტკიცა ყუბან-შავი ზღვის გუბერნიის აღმასკომმა, ეს იყო მეორე ეტაპი. მესამე ეტაპს კი წარმოადგენს თვით ამ მთიელთა აღმასკომის შემოქმედებითი მუშაობა, რომელსაც მართალია ძალიან არ უწყობდა ხელს გუბაღმასკომი, მაგრამ გაეცნო რა სავსებით საქმის ვითარებას, მთიელთა აღმასკომმა აღძრა შუამდგომლობა ჩერქეზთა გამოყოფის შესახებ ცალკე ავტონომიურ ოლქათ, რომელშიაც უნდა შესულიყო აგრეთვე 7 რუსული ვოლოსტი და 8 ხუტორი 25 აულისაგან, რომელთაც გააჩნიათ 35 აღმასკომი, მცხოვრებთა რიცხვი კი უდრის 174.000 კაცს [illegible] სულისა. სულ ავტონომიურ ოლქში ირიცხება 200.000 კაცი. ჩერქეზები კომუნისტები პარტიული მუშაკნი არიან ოცი (20), ინტელიგენტები კი დღეს დღეობით 100 კაცს უდრის. (ცნობები ამოკრეფილია ისკანდერ ალიევის წერილიდან).

ამ რიგათ მთიელთა აღმასკომის სამართლიანი შუამდგომლობა და მოთხოვნილება ცალკე ჩერქეზთა (ადიღეელების) ავტონომიური ოლქის გამოყოფის შესახებ დაკმაყოფილებულ იქნა, ვინაიდან ამა წლის 27 ივლისს რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად, აღნიშნული ოლქი გამოყოფილ იქნა და ეს დღე—27 ივლისი იქნება დღესასწაული დღე, დღე ეროვნული ჩერქეზთა ცხოვრებაში და მასთანვე ეს-

*) იხ. ჟურნალი „Жизнь национальностей“ № 17. 1922 გვ. 3.

დარდანელის, მარმარილოს ზღვის და ბოსფორის თავისუფლება, და რათა აგრეთვე უზრუნველყოფილ იქნას რასიულ და სარწმუნოებრივ უმცირესობათა უფლებების დაცვა. სამი მთავრობა, დაბოლოს, ხალისით დაუჭერენ მხარს ოსმალეთის მიღებას ხალხთა ლიგაში. ისინი სავსებით თანახმანი არიან ერთმანეთ შორის, რათა ისევ განიმეორონ უკვე მარტში გაკეთებული განცხადება, რომ მოკავშირეთა ჯარები გაყვანილ იქნებიან სტამბოლიდან მაშინათვე, როცა ხელშეკრულება შევა ძალაში. სამი მოკავშირე მთავრობა მოახმარენ თავის გავლენას, რათა კონფერენციაზე ოსმალების მოსვლამდე საბერძნეთის ჯარები გადაყვანილ იქნენ იმ ხაზზე, რომელიც დაწესებული იქნება მოკავშირე გენერლების მიერ ოსმალების და ბერძნების სამხედრო ხელისუფლებასთან შეთანხმებით. ამ შუამავლობის სამაგიეროდ ანგორის მთავრობამ უნდა მიიღოს ვალდებულება, რომ არც კონფერენციამდე, არც მის განმავლობაში არ გაგზავნის ჯარებს ზონებში, რომელნიც წინასწარ გამოცხადებულია ნეიტრალურად და მიიღებს ვალდებულებას, რომ არ გადავა სრუტეებზე და მარმარილოს ზღვაზე. შემდეგ, რათა დაწესდეს ხაზი, რომლის შესახებ ნათქვამი იყო ზევით, შესაძლებელი იქნებოდა დაუყოვნებლივ თათბირის გამართვა ქემალსა და მოკავშირე გენერლებს შორის მუდანიაში ან იზმიდში. მოკავშირე მთავრობები დარწმუნებული არიან, რომ მათი მოწოდება არ დარჩება უყურადღებოდ და რომ მათ ექნებათ შესაძლებლობა ითანამშრომლონ ოსმალეთთან, როგორც სხვა თავის მოკავშირეებთან მშვიდობიანობის აღსადგენად. რომელსაც მოწყურებულია მთელი კულტურული კაცობრიობა.

პარიზი, 1922 წელი, 23 სექტემბერი. ხელმოწერილია: პუანკარე, კერზონი, გოფ კელესტონი, სფორცა.

**ამხ. კარახანის ნოტა.**

**მოსკოვი.** 25 სექტ. გარეშე საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილემ ამხ. კარახანმა 24 სექტემბერს გაუგზავნა ნოტა საფრანგეთს, ინგლისს, იტალიას, სამხრეთ-სლავიას, ბოლგარეთს, რუმინეთს, საბერძნეთს და ეგვიპტეს. ნოტაში აღნიშნულია, რომ რუსეთის მთავრობა აქცევს ყურადღებას სერიოზულ მდგომარეობას, რომელიც შეიქმნა ახლო აღმოსავლეთში და იმას, რომ ევროპის სახელმწიფოები არ სცნობენ სათანადო

დღე საქმეთა ყველა დაინტერესებულ რესპუბლიკებისათვის და ეკონომიური ერთიერთობისათვის კიდევ ერთი მთავარი დამადასტურებელი იქნება იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლება ეროვნულ საკითხში მიდის სწორი გზით, მიდის ხალხთა ინტერესების დასაცავად და „ის რევოლუციონური ლოზუნგი, რომელსაც უნდა დაეფუძნოს არასრულუფლებიან ერების მშრომელთა მასსების ურთიერთობის ამომწვერი განმანთავისუფლებელი ერების პროლეტარიატთან, რომელსაც უნდა გაუწმინდოს გზა ერთა თანასწორობისაკენ და ამ ერთა მშრომელთა ერთობისაკენ, არის ლოზუნგი არასრულუფლებიან ერების და ახალშენების სახელმწიფოებრივ გამოყოფის უფლებაზე. ღირებულება ამ ლოზუნგისა კი იმაში მდგომარეობს, რომ ის 1) ანგარიშს უწევს ყოველივე ეჭვებიდან გამომდინარე საფუძვლებს მტაცებლობის მისწრაფების შესახებ ერთი ერის მშრომელთა მეორე ერის მშრომელთადმი, მაშასადამე აძლევს ნიადაგს ურთიერთ ნდობისა და ხელმყოფლობითი შეკავშირებისა; 2) ხდის ნიღაბს იმპერიალისტებს, რომელნიც ყალბათ ლაპარაკობენ თვითგამორკვევაზე, ამასთანავე კი მოწადინებული არიან დაიქვემდებარონ, დაიკავონ თავის იმპერიალისტური სახელმწიფოს ჩარჩოებში არასრულუფლებიანი ერები და ახალშენები, და აღრმავებს ამით ამ უკანასკნელების განმანთავისუფლებელ ბრძოლას იმპერიალისტების წინააღმდეგ“ *).

ლეხო ახლაბიშვილი.

*) ი. Национальний вопрос и Советская Россия ი. სტალინის წერილი К постановке национальнаго вопроса გვ. 4—5.

ნაბიჯებს მომავალ ომიანობის შესაძლებლობის გამოსარკვევად. რუსეთის მთავრობა აღიარებს, რომ ძირითადი საკითხს წარმოადგენს ოსმალეთის ხალხის უფლების და სუვერენიტეტის ფაქტიური ცნობა ოსმალეთის ადგილებზე, სტამბოლზე და სრუტეებზე. ევროპის სახელმწიფოები, განსაკუთრებით ინგლისი, უარს აძლევენ დაუბრუნონ ოსმალეთს მისი ძველი ადგილები და სრუტეები, რათა განამტკიცონ თავისი მოძალადე ბატონობა იქ. სრუტეების თავისუფლება აღიარებულია ყველა შავი ზღვის (გამოტოვებულია) ოსმალეთმა ჯერ კიდევ 1920 წ. იცნო სრუტეების თავისუფლება მშვიდობიანი ვაჭრობისა და ტრანსპორტისათვის.

რუსეთ-ოსმალეთის 1921 წლის ხელშეკრულებაში სრუტეების თავისუფლება ვაჭრობისათვის დამტკიცებულ იქნა რუსეთის მიერ, ხოლო ევროპის ოფიციალური დოკუმენტები, რომლებიც შეეხებიან სრუტეებს, სრულებით არ სცნობენ რუსეთის ინტერესებს. ოსმალეთი აღიარებულია მხოლოდ მოლაპარაკების ობიექტად სახელმწიფოთა შორის. რუსეთის მთავრობამ კატეგორიულად პროტესტი უნდა განაცხადოს რუსეთის და მის მოსაზღვრე რესპუბლიკების უფლებათა უგულებელყოფის წინააღმდეგ ევროპის სახელმწიფოების მიერ.

რუსეთი, უკრაინა და საქართველო, ოსმალეთის შემდეგ ყველაზე, უფრო დაინტერესებული არიან სრუტეების თავისუფლებაში ანტანტის ევროპის სახელმწიფოები ვალდებული იყვნენ გადაეცათ რუსეთისათვის სრუტეები და სტამბოლი.

რუსეთის მთავრობას არ სურს, რომ რუსეთის ინტერესებისათვის დაიჩაგროს ოსმალეთის ხალხის ნაწილი, მან ამისთვის გაამჟღავნა მეფის მთავრობის ხელშეკრულებანი. საბჭოთა მთავრობა იმეორებს თავის წინანდელ განცხადებას, რომ რუსეთი არ იცნობს იმ გადაწყვეტილებებს, რომლებიც იქნებიან მიღებული მის მონაწილეობის გარეშე და მისი ინტერესების საწინააღმდეგოდ. რუსეთი აფრთხილებს ევროპის სახელმწიფოებს არ განმეორდეს ის შეცდომები, რომლებიც იყვნენ გამოწვეული დაინტერესებულ სახელმწიფოების სასიცოცხლო ინტერესებისადმი უყურადღებობით, ყოველივე გადაწყვეტილება სრუტეების შესახებ, მიღებული რუსეთის გარეშე, შექმნის მხოლოდ ნიადაგს ახალი კონფლიქტებისათვის. სრუტეების თავისუფლება, რომელსაც აღიარებს ინგლისი, წარმოადგენს მუქარას რუსეთის და ოსმალეთის ინტერესებისათვის. ინგლისს სურს ჩაითრიოს ომში ოსმალეთთან ერთად მთელი რიგი (გამოტოვებულია). რათა დაიფაროს ევროპა ოსმალეთის თავდასხმისაგან. ასეთი მოსაზრება არ შეიძლება ჩაითვალოს სერიოზულად. ოსმალეთის სატახტო ქალაქის ოსმალეთის ხალხისაგან დაცვა ინგლისის მიერ წარმოადგენს პრეტენზიას, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს მხოლოდ დიდი გაკვირვება. ნეიტრალური ზონის დაცვა წარმოადგენს ოსმალეთის სუვერენიტეტის დარღვევას.

რუსეთის მთავრობა აღიარებს, რომ ზოგიერთ ევროპის სახელმწიფოების ცდა, აწარმოვონ მოლაპარაკება დაინტერესებულ სახელმწიფოთა მონაწილეობის გარეშე, არ შეუძლია მოსალოდნელ ომის საშიშროების თავიდან აშორება. რუსეთი წინადადებას იძლევა დაუყოვნებლივ მოწვეულ იქნეს კონფერენცია ყველა დაინტერესებულ სახელმწიფოებისა, პირველ რიგში კი შავი ზღვის განაპირა სახელმწიფოების. რუსეთის მთავრობა იმედს გამოსთქვამს, რომ მის ხმას გამოეხმაურება ყველა, ვისაც სურს ნამდვილი მშვიდობიანობა, დამყარებული მხარეების სრულუფლებიანობაზე და ოსმალეთის სუვერენიტეტის აღიარებაზე.

**მოკავშირეების ნოტის გამო.**

**მოსკოვი,** 26 სექტემბერი. პუანკარემ პარიზის თათბირის სახელით გაგზავნა სმირნაში ნოტა კონფერენციის მოწვევის შესახებ. კონფერენციაზე განხილულ იქნება საკითხი ოსმალეთისათვის თრაკიის და ადრიანოპოლის გადაცემის და დარდანელის, მარმარილოს ზღვის და ბოსფორის თავისუფლების უზრუნველყოფის შესახებ.

დღეს ინგლისის ყველა გაზეთებში გამოქვეყნებულია მოკავშირეების ნოტის სრული ტექსტი. „მანჩესტერ გარდიენი“ ხაზგასმით აღნიშნავს რუსეთის უშუალო მონაწილეობის აუცილებლობას სამშვიდობო კონფერენციაზე.

„დეილი ნიუზ“-ი სთვლის მოსაზრებებს (გამოტოვებულია)... სარწმუნოდ და უდავოდ.

**ინგლისის პოზიცია.**

**კროიდონი,** 25 სექტ. ინგლისის მთავრობა თანახმაა წავიდეს დათმობაზე და დაიცვას კონფერენციაზე მიუდგომლობა თრაკიის საკითხში და სხვა ადგილების პრობლემების გადაწყვეტაში. ინგლისის მთავრობა დარწმუნებულია, რომ ეს საკითხები არ უნდა იქნას გადაწყვეტილი იარაღის საშუალებით, მათი გადაწყვეტა შესაძლებელია კონფერენციაზე, სადაც წარმოდგენილი იქნებიან ყველა დაინტერესებული მხარეები. ასეთი კონფერენციის მოწვევის წინადადება შეიტანა ლორდ კერზონმა და მიღებულ იქნა მოკავშირეების მიერ. მრავალჯერ იყო ცნობა, რომ ქემალს გაუძნელდება შეაჩეროს მომხრეები ნეიტრალური ზონის საზღვრის გადალახვისაგან. თუ კი ეს მოსაზრება გამართლდა პასუხისმგებლობა დააწვება იმას, ვინც ბევრს ლაპარაკობს ნეიტრალური ზონიდან ჯარების გაყვანის შესახებ. ყოველ შემთხვევაში ინგლისის ჯარები უზრუნველყოფენ სრუტეების თავისუფლებას. რაც შეეხება ახლო აღმოსავლეთის საკითხების გადაწყვეტას, რომლებიც ერთა ლიგის ყრილობის წინაშე დგანან. აქ ინგლისი დიდი სიამოვნებით ხელს შეუწყობს ერთა ლიგას ახლო-აღმოსავლეთის პრობლემის გადაწყვეტაში.

**ერთიანი ოსმალეთის დელეგაცია.**

**ბორდო.** 25 სექტემბერი. სტამბოლში მოკავშირეთა უმაღლეს კომისრებმა დიდ ვეზირსა და ანგორის წარმომადგენელს გადასცეს ნოტა, რომლითაც წინადადებას აძლევენ მათ გაგზავნონ ერთი დელეგაცია საზავო კონფერენციაზე.

**ბორდო.** 25 სექტემბერი. „პტი-პარიზიენი“ უკუთებს რა კომენტრიებს მოკავშირეთა წინადადებას ერთი დელეგაციის კონფერენციაზე ოსმალეთის მიერ გაგზავნის შესახებ, შენიშნავს: „ამ ფორმულით გამოსთქვამენ სურვილს, რომ მოკავშირეთა უნდათ საქმე იქონიონ ერთ ოსმალეთის დელეგაციასთან და შეთანხმების წინადადებას აძლევენ ანგორას და სტამბოლს.

**ჩანაკასთან.**

**ბორდო.** 25 სექტემბერი. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ოსმალეთის კავალერია კვლავ შეიჭრა ნეიტრალურ ზონაში ჩანაკასთან. გამართა მოლაპარაკება ინგლისის ჯარების სარდალთან, ფიქრობენ, რომ ოსმალეთის ნაწილი უკან გაყვანილი იქნებიან.

**პრესის აზრი.**

**ბორდო.** 25 სექტემბერი. ბერლინის გაზეთები ამოწმებენ, რომ ახლო-აღმოსავლეთის ამბების გამო, კონფერენციამ მიიღო საფრანგეთის ყველა წინადადებები უპირობოდ. ქემალ-ფაშას გამარჯვებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

**მესოპოტამიაში.**

**რომი.** 25 სექტემბერის „ჩიკაგო ტრიბუნის“ ცნობით, მესოპოტამიაში დიდი შეტაკებებია ინგლისელთა და მკვიდრთ შორის. ამას წინად ადგილობრივ მცხოვრებლებმა ხელში ჩაიგდეს ინგლისის ჯარების ნაწილი, ხუთასი ჯარისკაცისაგან და ერთი ოფიცრისაგან შემდგარი.

**უარყოფა.**

**კროიდონი.** 25 სექტემბერი. ინგლისის მთავრობის დავალებით, ინგლისის ფლოტის სარდალი პორტსმუტში უარყოფს ხმებს დარდანელში ინგლისის სამხედრო გემის დაღუპვის შესახებ.

**ფრანკლინის ბუიონის მისია.**

**კროიდონი.** 25 სექტემბერი. სტამბოლში მიღებულია ცნობა, რომ საფრანგეთის მთავრობამ გაუგზავნა ქემალ-ფაშას რადიო, რომელშიაც ურჩევს მას საფრანგეთის სპეციალური ემისარის ფრანკლინ ბუიონის ჩამოსვლამდე არ ჩაიდინოს არავითარი მოქმედება.

**მასსები და წინამძღოლები.**

**კროიდონი.** 25 სექტემბერი. ტრაფალგარის პარკში გამართულ მიტინგზე გამოტანილ იქნა რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს ტრედიუნიონების კონგრესების მთავარი საბჭოსაგან დაუცველობის მოწყობას იმ შემთხვევაში, თუ დაიწყო ომი.

**სააკამანო გვარეულობის გამგზავრება.**

**ნაუენი.** 25 სექტემბერი. საიმპერიო სააკამანო გვარეულობის ზოგიერთი წევრები, რომლებიც ცნობილი იყვნენ ანგლოფილობით გაემგზავრნენ სტამბოლიდან და მივიდნენ მალტაში.

**ბერძნების ხიმხეცე**

**ბორდო** 25 სექ. კონსტანტინოპოლში დამტკიცებულია, რომ ბერძნების მთავარსარდალმა გასცა განკარგულება ბრუსისათვის ცეცხლის წაკიდების შესახებ და მხოლოდ გენ. სუმილოსმა მოახდინა ბრძანება ცეცხლის შესაჩერებლად, როდესაც ეს ენერგიულად მოითხოვეს მოკავშირეების წარმომადგენლებმა.

**წესრიგის დაცვა**

**ბორდო** 25 სექ. წესრიგის დაცვა სტამბოლში მინდობილი აქვს ს. ფრანგეთის შეიარაღებულ ძალების მთავარსარდალს.

**ფრანკლინ ბუიონი გაემგზავრა სმირნაში**

**ბორდო,** 25 სექ. კვირას პუანკარეს ჰქონდა საუბარი ფრანკლინ ბუიონთან, რომელიც იმავე დღეს გაემგზავრა პარიზიდან სმირნაში, სადაც იგი ჩავა ხუთშაბათს დილით და მიღებული იქნება ქემალის მიერ.

**მათი „ხაზოგადოებრივი“ აზრი**

**ბორდო** 25 სექ. ინგლისის საზოგადოებრივ აზრმა სიამოვნებით მიიღო მოკავშირეთა მინისტრების დადგენილება პარიზში. „მორნინგ პოსტი“ სწერს, რომ ლორდ კერზონმა შეასრულა ის, რაც თავის დროზე ვერ გააკეთა ბალფურმა ვაშინგტონში. მოკავშირე ნოტა აღადგენს მშვიდობიანობას ახლო-აღმოსავლეთში. დიდი ნაბიჯია საამისოდ გადადგმული და აწი ყოველივე დამოკიდებულია ქემალისტების პოზიციისაგან. მოკავშირეთა დადგენილებამ დიდი აურზაური გამოიწვია ათინაში. კაბინეტის სხდომაზე მიღებულია შესაფერი ზომები.

**სტამბოლი** 25 სექტ. დაჭერილია ოსმალეთის რადიო ცნობა სადგურ „ორმანი“-ს... (დასაწყისი არ არის მიღებული). ქემალი ვერ შესძლებს გააჩეროს თავისი [illegible] მია უმოქმედობაში, ხოლო თუ დამტკიცდა [illegible] ობა სტამბოლისა და სრუტეებისაკენ, მაშინ ყველა ფარული ორგანიზაციები, რომლებიც არსებობენ იქ, გამოიწვევენ ქალაქში მნიშვნელოვან უწესრიგობას (გამოტოვებულია) ... ეკონომიური მიმდინარეობა სტამბოლში კიდევ უფრო მეტად არის დაშორებული პოლიტიკურ ამბებიდან.. (ბოლო არ არის მიღებული)..

**ოსმალეთის ცხენოსანმა რაზმმა გადალახა ნეიტრალური ზონა.**

**კროიდან.** 26 სექ ღამით მიღებულია სტამბოლიდან დეპეშა, რომელიც იტყობინება: რომ ოსმალეთის ცხენოსანმა ჯარმა ტყვიისმფრქვეველებით კვლავ გადალახა ნეიტრალური ზონის საზღვრები. სერ ჩარლ მარინგერსმა დეპეშით აცნობა ქემალ ფაშას გაიყვანოს ეს ძალები.

# ახლო-აღმოსავლეთის კონფერენცია.

**კერზონის განცხადება**

**ბორდო.** 23 სექტ. ლონდონში გამგზავრების წინ ლორდ კერზონმა განაცხადა, რომ ის სავსებით კმაყოფილია თავისი გამგზავრებით და იმედოვნებს რომ გაგზავნილი ნოტა იქნება დასაწყისი ახლო აღმოსავლეთის საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტისა იგი დარწმუნებულია, რომ ქემალ-ფაშა მიიღებს წარმოდგენილ პირობებს დასკვნაში კერზონმა დაუმატა რომ კონფერენციამ ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა განიხილოს რათა გამართოს მოლაპარაკება რუსეთთანაც.

**ლოიდ ჯორჯის განცხადება**

**კროიდონი** 25 სექტ. გაეცნო რა პარიზის გუშინდელ მოლაპარაკებას ლოიდ-ჯორჯმა ლონდონში გააკეთა მოხსენება, რომელიც საზღვრავს ბრიტანეთის პოლიტიკის მთავარ ხაზს. მან სთქვა რომ ბრიტანეთის მთავრობის მოქმედება ნაკარნახევი იყო ორ უმთავრეს მოსაზრებით პირველი ინგლისის შიში ხმელთა შუა ზღვის და შავი ზღვის პირის მიმოსვლის თავისუფლების მისპობის წინაშე რაც არის მთელი ქვეყნის მშვიდობიანობის პირობა. ვინაიდან მომავალშიაც უნდა იყოს ამ მიმოსვლის თავისუფლების გარანტია. მიღებული ნომერი მიმართული იყო იქითკენ, რომ უზრუნველყოფილიყო ეს თავისუფლება, რაც არსებით ფაქტორია ცივილიზაციისათვის ბრიტანეთი აქეთკენ მიილტვოდა თავის პოლიტიკაში, რომელიც მოწონებულია ყველა მისი მოკავშირეების მიერ. ინგლისის მეორე მიზანს შეადგენდა ამ საშინელი ომის თავიდან აცილების განზრახვა. ჩანაკში და სხვა ადგილებში ნეიტრალური ზონის შესახებ ლოიდ-ჯორჯმა განაცხადა, რომ დიდი ბრიტანეთი იყო აბსოლიუტურად განმარტოებული თავის პოზიციაზე, როგორც ბერძნების ისე ოსმალეთისადმი.

და მიიგონა, რომ რამდენიმე კვირის წინეთ მან აღუკრძალა ბერძნებს კონსტანტინოპოლის წინააღმდეგ გალაშქრება, და თუმცა ფრანგებს ეკავათ მაშინ ჩატალჯის ხაზი, მაგრამ მოკავშირეთა ძალების მთავარსარდალი იყო ინგლისის გენერალი.

ლოიდ-ჯორჯმა აღნიშნა, რომ ბერძნებს მან მიმართა იმავე კილოთი და გამოთქმით, როგორც ქემალ-ფაშას, და რომ მას არ შეეძლო ნეიტრალური ზონის გადალახვის ნებართვა მიეცა ბერძნებისათვის, რისთვისაც ინგლისის ჯარები სასწრაფოდ გაიგზავნა კონსტანტინოპოლიდან ჩატალჯის ხაზზე საფრანგეთის ჯარების დასახმარებლად, რათა წინააღმდეგობა გაეწიათ ბერძნებისაგან ნეიტრალურ ზონაში შეჭრის ყოველგვარ ცდისათვის. ლოიდ-ჯორჯმა სთქვა, რომ ინგლისს სურს, რათა გალიპოლისთან და ჩანაკასთან მისასვლელი ადგილები დარჩეს ერთა ლიგის მეთვალყურეობის ქვეშ, რომელიც უზრუნველყოფს სრუტეების თავისუფლებას ყველა ერების ინტერესების მხედველობაში მიღებით. დასასრულ ლ.-ჯორჯმა განაცხადა: ჩვენი მიზანია ზავი, რაზედაც ჩვენ ვზრუნავთ. თუ ჩვენ ვსთვლით უშედეგოდ და ამიტომ მის თავიდან ასაცილებლად ჩვენ მივიღეთ ნამდვილი ზომები.

# უცხოეთი

**ირლანდიაში.**

**მოსკოვი.** 26 სექტ. ირლანდიის ფოსტა-ტელეგრაფის მუშა-მოსამსახურეთა გაფიცვები გრძელდება.

**გაფიცვები ინგლისში.**

**მოსკოვი.** 26 სექტემბერი. ინგლისის ტრამვაის მუშა-მოსამსახურეთა გაფიცვის საკითხი მწვავედ სდგას. შესაძლებელია მომავალ კვირაში გაიფიცოს 100,000 კაცი.

**შვეციის კომუნისტური პარტიის მანიფესტი.**

**მოსკოვი.** 26 სექტემბერი. შვეციის კომუნისტურმა პარტიამ გამოაქვეყნა მოწოდება ყველა მუშების მიმართ. ბრძოლა ერთიანი ფრონტისათვის და 8 საათის სამუშაო დღისათვის, რომლის წინააღმდეგ იბრძვის გაერთიანებული ბურჟუაზია.

**გერმანიის შემთანხმებელთა შორის.**

**ნაუენი.** 26 სექტ. გერმანიის ესდეკების პარტიის გაერთიანების პროგრამაში აღნიშნულია მოთხოვნილება რესპუბლიკის მთელი ძალღონით დაცვისა, თანამშრომლობის დაპირება მშვიდობიანობის აღდგენაში გერმანიის ხალხის მონაწილეობით და მოთხოვნილება გერმანიის სხვა ერებთან გათანასწორების შესახებ.

**ამერიკა და საკონტრიბუციო საკითხი.**

**ნაუენი.** 26 სექ. „ობსერვიერი“ მოითხოვს დაჟინებით საკონტრიბუციო კონფერენციის მოწვევას შეერთებულ შტატების მონაწილეობით.

# ახალი ამბები

— **ტრამვაის მასალების შესაძენად** გერმანიაში იმგზავრება ინჟინერი ვაწაძე.

— **კამოს სახელობის საბავშვო სახლი.** მეოთხე საბავშვო სახლი განზრახულია შეკეთდეს და ეწოდოს კამოს სახელობის საბავშვო სახლი —№ 9. მე-4 საბავშვო სახლში მოთავსებული ბავშვები დროებით გადაყვანილი იქნება მე-6 საბავშვო სახლში, ხოლო მე-6 საბ. სახლი უქმდება და არსდება ასეთი ავლაბარში მარტყოფის ქუჩაზე № 7, ამ საქმის მოსაგვარებლათ ქალაქის აღმასკომის განათლების განყოფილების გამგეს ეძლევა უფლება გაწეულ ხარჯების დასაფარავად აიღოს თანხა—კამოს სახელობის საბავშვო სახლის ფონდიდან. ჯანმრთელობის განყოფილების გამგეს ევალება გამოარკვიოს, თუ რამდენად არის შესაძლებელი ზამთარში აგარაკ კოჯორში ბავშვების დატოვება.

**ვოლგის დამშეული ბავშვები—სურამში,** ვინაიდან ქალაქი განი-

